MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC
Digitally signed by MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC
Date: 2019.11.12 12:53:08 +04'00'

ხელშეკრულება №02/87

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 12 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი მისი მინისტრის ზაალ მიქელაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,ორანიე ლეუ'', (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), წარმოდგენილი მისი დირექტორის ინგა ჩიკვაიძე-ლომაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის "ს!" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1 ცალი ჯილდო - (სიგელი) CPV - კოდი 39298700 (შემდგომში `საქონელი") წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 41,00 (ორმოცდაერთი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 3. საქონლის მიღება – ჩაბარება

3.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩეველი - ლიზა თედორაძე.

3.2. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარდგენის ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ანგარიშფაქტურაზე ან სასაქონლო ზედნადებზე ან/და მიღება-ჩაბარების აქტზე მიუთითოს წარმოდგენილი საქონლის რაოდენობა, ერთეულის ფასი, საერთო ფასი.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

მუხლი 5. გარანტია

5.1. ,,მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი არ გამოავლენს დეფექტებს.

5.2. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე შეცვალოს საქონელი ან უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილია : ქ. ბათუმი, აკად. მ. კომახიძის ქ. N119

6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 12 ნოემბერი.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში.

7.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი მახარაძე.

მუხლი 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები ,,შემსყიდველისათვის" გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

,,შემსყიდველი"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო
მისამართი: ქ. ბათუმი, აკად. მ. კომახიძის ქ.N119
საბანკო რეკვიზიტები: აჭარის ა.რ. ფინანსთა და
ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო სახაზინო
სამსახური - ს.ს ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TB62CBGE22
ანგარიში NGE62TB7901736010100015
საიდენტიფიკაციო კოდი 245428755

მინისტრი
ზაალ მიქელაძე

,,მიმწოდებელი"

შ.პ.ს. ,,ორანიე ლეუ''

მისამართი: ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. №21
ს/კ 445395965

საბანკო რეკვიზიტები: ,,საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22
ანგ. №GE22BG 0000000621483100

დირექტორი
ინგა ჩიკვაიძე-ლომაძე